1956 წლის 9 მარტი - ინდივიდუალური მეხსიერება

ცოტნე ავსაჯანიშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერებების ფაკულტეტი

ხელმძღვანელი: ემილ ავდალიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ცოტნე ავსაჯანიშვილი, 10.07.2020

აბსტრაქტი

კვლევა ინსპირირებულია ფრანგი მეხსიერების მკვლევარის, პიერ ნორას თეორიებიდან გამომდინარე ინდივიდუალური მეხსიერების შესახებ. კვლევის მიზანია ტოტალიტარულ ქვეყანაში აღზრდილი თაობის ინდივიდუალური მეხსიერების რეპრეზენტირების და მისი, როგორც ისტორიული პირველწყაროს წარმოჩენის ხარჯზე ფორმირდეს ახალი ისტორიული ნარატივი. აქედან გამომდინარე კვლევისას აღებულია ერთი ისტორიული მოვლენა, რომლის შესახებაც წლების განმავლობაში არსებობდა მხოლოდ ერთი, ტოტალიტარული სახელმწიფოს მიერ დაწერილი ისტორიული სიმართლე, რომელიც გადახევას არ ექვემდებარებოდა. ჩვენ გვაქვს ამ ისტორიული მოვლენის, 1956 წლის მარტის მოვლენების ტოტალიტარული სახელმწიფოსეული გააზრების ვარიაციები, ანუ მოვლენის აღწერა საბჭოთა წყაროების მიერ და ასევე მოგვეპოვება საბჭოთა წყაროებისგან რადიკალურად განსხვავებული ინდივიდუალური მეხსიერების ნიმუშებიც.

აქედან გამომდინარე, კვლევის პროცესი არის ერთგვარი ვერბალური შერკინება სისტემასა და მის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანების სიმართლეებს შორის. ეგრედწოდებული ისტორიული კორექტივების შესატანად გამოგონილი მინი ასპარეზი.

კვლევის მიზანია განსხვავებების გააზრება. წყაროების შედარებითი ანალიზის შედეგად გამოტანილი დასკვნების მიხედვით ობიექტური რეალობის დადგენა. ალტერნატიული ნარატივების შექმნა და ისტორიული პირველწყაროების შეგროვება-გაერთიანება.

Abstract

Research is inspired by French explorer of memory Pierre Nora, according to his theories about individual memory. The goal of the research is to explain individual memory formation in totalitarian countries, which would be become historical first source of coming future. According to that, we take as an example one historical case, about what was existing only one view in totalitarian countries. There was only one mind about that case and all others were tabooed. The best historical example about this theme is case of 1956 years when in the one hand we have soviet sources, which are the same and in another hand we have sources outside of Soviet Union, which are totally different from totalitarian republic. Comparing of these 2 different sources, let us know to learn better individual memory of soviet nation and get the truth about these historical events.